წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 18 აგვისტო

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 430 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 430

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 15 აგვისტოდან ახალი პროგრამა.

## ვასილისა

კინო დრამა, „რუსულ ოქროს სერიიდან„ 4 ნაწილად გლეხის ცხოვრებიდან. მონაწილეობას ღებულობენ სამეფო თეატრის მსახიობები ვ. ფ. ლებედევი, ქელუბიაჟსკი, ლავინა და მსახიობი ქალები ნეზლობინის თეატრიდან ა. იანუშევისა.

### მე არ მწამს ქალის კეთილმოქმედება.

მხიარული კომედია გ. დე-მოპასანიდან. უმთავრეს როლებში ნ. ა. ჩერნოვისა

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 18 აგვისტოდან **გომონის ქრონიკა**, მიმდინარე ამბები. **ეს გაზაფხულზე იყო.** თანამედროვე დრამა 3 ნაწ. ხანჟონკოვის საზოგ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **მაკაკის ოინგაზოგა.** მხიარული კომედია 2 ნაწ. ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 15 აგვისტოდან ახალი პროგრამა. **გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

### პატრიომოყვარეობის სავაჭრო ადგილი.

(სისხლით გასვრილი მილიონები). ძლიერი თანამედროვე დრამა 5 ნაწილად, ცნობილი საფრანგეთის ფაბრიკა „ეკლერის“ მიერ დადგმული. უმთავრეს როლს შეასრულებს სახელგანთქმული მოცეკვავე ქალი რეჟინა ბადე.

**ანონსი;** ხუთშაბათიდან, 18 აგვისტოდან **მტრის ძალა.** ძლიერი დრამა 4 ნაწილად ბ. იანუშევისა, პავლოვისა, ტეზარევსკისა და სხვ მონაწილეობით **გომონის ჟურნალი** უკანასკნელი ამბები. **ცეკვისა და სიყვარულის გაკვეთილები** სახუმარო.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების წევრთა ყრილობა მობილიზაციისა და სხვადასხვა მიზეზებისა გამო 21 აგვისტოს აღარ მოხდება; გადადებულია სხვა უფრო მოხერხებულ დროისთვის.

2—2 **მასწ. დამხ. საზ. გამგეობის მდივანი მ. ჩიჩელაშვილი.**

## განცხადება.

**ქუთაისის საეზნაურო ქართულ გიმნაზიაში**

თავისუფალი ვაკანსიები არის მხოლოდ მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებაში.

მისაღები ეგზამენები 22 აგვისტოს დაიწყება, ხოლო ხელმეორე ეგზამენები 28-ს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

285 12—4.

ქ. ქუთაისში, გაღმა უბანში, ბაღის და პოდგორნი ქუჩებში იყიდება ორსართულიანი სახლი 18 ოთახით და დაბლა ექვსი დუქნით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე ივანე კარტოზიასთან.

277 12—5

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6—9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ

**ექიმი** ი. **ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**საზოგად. „სინათლის“ ქალთა საშუალო სასწავლებელში**

მისაღები და ხელმეორე გამოცდები დანიშნულია 26 და 27 აგვისტოს დილის 8 საათიდან. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს პარაკლისის შემდეგ, რომელიც დილის ცხრა საათ. იქნება გადახდილი.

288 5—1

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**პეტროგრადი.** 16 აგვისტო. დასავლეთის და აღმოსავლეთის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი.** 16 აგვისტო. უმაღლესი ბრძანება მმართველ სენატს. ვსცანით რა საჭიროდ ჯარისათვის და მის დაწესებულებათა შევსება, ვბრძანებთ რათა გაწვეულ იქნენ ყველა ჯარში გასაწვევნი, რომელნიც აღნუსხული ყავს უსინის სამოსაზღვრო უფროსს, იმ ხნისა და იმ ვადისა, რომელსაც ირკუტსკის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსი და ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორის თანხმობით დანიშნავს. ამის სისრულეში მოსაყვანად მმართველი სენატი შესაფერ განკარგულებას გასცემს. ნამდვილზე მისი იმპერატორობითი უმაღლესობას საკუთარის ხელით უწერია: **ნიკოლოზი**.

მეფის ბინა 12 აგვისტო 1916 წ. შეამოწმა სამხედრო მინისტრმა ინფანტერიის გენერალმა შუვაევმა.

**პარიზი.** 15 აგვისტო შუადღის ოფიციალური ცნობა. ფლერის წინა მდებარე პოზიციებზე გერმანელებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს მაგრამ ფრანგებმა ხელის ყუმბარების შემწეობით ადვილად მოიგერიეს. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**ლონდონი.** 15 აგვისტო ბრიტანიის მთავარი ბინის ოფიციალური ცნობა საფრანგეთიდან. მიუხედავათ უამინდობისა დელვილის აღმოსავლეთით ინგლისელებმა წინ წაიწიეს. პუკეს ფერმის ახლოს ინგლისელთა მოქმედება მათ სასარგებლოდ დაგვირგვინდა დელვილს გერმანელები მკაცრად უშენდენ ზარბაზნებს, პოზიერის ჩრდილოეთით ინგლისელთა არტილერია გერმანელებს უპასუხებდა.

**ბუქარესტი.** 15 აგვისტო. მეფე ფერდინანდმა მთელი ჯარის მობილიზაცია გამოაცხადა.

ოსმალეთმა სმირნის მეციხოვნე ჯარი სამი ბატალიონით გაადიდა

— —

ენვერ ფაშამ ხარფუხის რაიონში გაგზავნა ორი ბულგარელი პოლკი.

— —

ვერდენის ბრძოლის ხელმძღვანელი კრონ პრინცი გერმანიის მთავარ შტაბს აუწყებს, რომ ამ დღეებში შეჩერებულ ოპერაციებს განვაახლებ და საჭიროა ახალი ძალების მოშველება.

— —

საფრანგეთში მისული რუსის ჯარი უკვე ბრძოლაში გაიგზავნა.

— —

დანიის პარლამენტში აღძრულია საკითხი მის კუთვნილ კუნძულების გაყიდვის შესახებ.

— —

რუსეთის სამხედრო ტყვეებში, როგორც „რან. უტრო“ გადმოგვცემს ჰლექი გაჩენილა.

— —

რუმინია გერმანიის ეკონომიურ ხელშეკრულების ძალით გერმანიას რუმინიიდან გაუტანია 800000 კოდი პური.

— —

როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან რუმინეთის ჯარი სულ ერთიანად საომრად არის გამზადებული.

— —

ენვერ ფაშამ ბოსფორის ნაპირებთან გერმანიიდან ჩამოტანილი მძიმე ზარბაზნები დაადგმევინა და მისი დაცვა გერმანელ ინსტრუქტორებს მიანდო.

— —

ოსმალეთის სამხედრო სკოლებში და სასწავლებლებში გერმანული ენა სავალდებულო სასწავლო საგნად შემოიღეს.

— —

შემოწმების დროს ჭანამის ირხი (ამერიკაში), რომლის აშენებაც ახლახან დამთავრდა და რამდენიმე მილიარდიც დაჯდა თავდაცვისათვის უვარგისი აღმოჩენილა

— —

ამას წინად ბულგარელებსა და ბერძნებს სარი-შეაბინთან შეტაკება მოუხდათ. ახლა როგორც გამოირკვა შეტაკება მხოლოდ ჯარის კაცების ბრალი ყოფილა.

— —

გერმანიის ჯავშნიანი გემი „ფესტფალენი“ ინგლისის წყალქვეშას დაუზიანებია.

— —

ბალკანეთის ასპარეზზე კავალის გაყოლებით გერმანელები შეტევას განაგრძობენ.

— —

ქ. მონასტირი ბულგარელებმა დაიპყრეს.

— —

აღმოსავლეთში აჯანყება გრძელდება. ბევრი მოაჯანყე ავსტრიაში გარეკეს.

— —

აჯანყებულ მთაშავეთის პარტიზანულ რაზმს სათავეში ჩაუდგა ღენ. მოშევიჩი

— —

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

ხმა დადის ისპანიამ თავის წილი ვესტ-ინდოეთის სამფლობელო სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკას მიჰყიდაო.

— —

გერმანელებმა ბალტიის ზღვის ფლოტს ერთი დრედნოუტი მიუმატა დრედნოუტი ახალ სისტემით არის დამზადებული. იგი დამზადდა ჰელშენის ქარხანაში 1915 წლის გასულს.

— —

ამ ბოლო ხანს ბერლინში მეტად ეჭვის თვალით უყურებენ და გერმანიისთვის უნუგეშოთ მიაჩნიათ რუმინიის მომხრობის საქმე. „ბერლინერ ტაგებლატმა“ ცხარე წერილებიც კი დაბეჭდა სადაც რუმინიას თუ იგი ოთხთა კავშირს მიემხრობოდა მუქარით აუწყებდა, რომ დედამიწის პირიდან აღიგვებიო.

— —

გერმანია საფრანგეთის ასპარეზზე ბრძოლის ინიციატივა ისევ გერმანელების ხელში ყოფილა, აქ მათ მაშველი ჯარები მიუღიათ.

— —

ბულგარეთმა სერბიის მაკედონიის დასაცავად ოსმალებს ახალი ჯარი სთხოვა, სადაც ენვერ ფაშამ ანგოსის პოლკი გაგზავნა.

— —

რუსეთში გამოქცეულებს დღიურ ფულის ძლევა მოუსპეს.

— —

გერმანელებს დაუდგენიათ რუსეთის მფლობელობაში ყოფილ პოლონეთის დამოუკიდებლობა ახლავე გამოაცხადონ.

— —

ბალკანეთის ასპარეზი თანდათან ფართე ყურადღებას იქცევს. ინგლის-ფრანგების და სალონიკში მოსული რუსის ჯარი უკვე შეტევის გზას დაადგენ. მოკავშირეთა ჯარს ჯერ ჯერობით მხოლოდ ბულგარეთ-ოსმალები ებრძვიან.

— —

რიგა დვინის მიდამოებში ყუმბარებით ბრძოლაა. ბარანოვიჩის რაიონში, რუსებმა ოდნავ უკან დაიხიეს.

— —

რიგის ყურეში გერმანელთა ჩაძირული წყალქვეშა აღმოუჩენიათ.

— —

სამხედრო მთავრობას განკარგულებით ქ. კიევში დაბრუნდა ყველა სასწავლებლები და დაწესებულებები.

— —

მაკედონიის ფრონტზე, მაკენზენი გაიგზავნა, რომელიც დეპეშით ახალ ჯარების მოწვევას თხოულობს.

— —

გერმანიაში დაბრუნდა ამერიკიდან გემი „გერმანია“ რომელსაც დიდი ზეიმით მიეგებენ.

— —

ფელდმარშალ ჰინდენბურგს ჯარები ჩრდილოეთის ფრონტზე გადაყავს.

— —

იტალიის ჯარი სალონიკში მივიდა. მასთან გერმანეთის ჯარს მოუხდება შეტაკება. მაშასადამე, იტალიას მიზეზი მიეცა გერმანეთს ომი გამოუცხადოსო.

— —

„ვ. ტ.“-ის ცნობით ბრატიანუ პრინციპით მომხრეა მოკავშირეებისა, მაგრამ ომში ჩარევის უფლებას რუმინეთს უტოვებს.

— —

ჩრდილოეთის ზღვაში ასამდე ინგლისელთა გემი გამოჩნდა. იქვე „ცეპელინი“ შენიშნეს.

— —

თერგის ოლქის უფროსმა ბრძანება გასცა მცხოვრებთ იარაღი აჰყარონ, რადგან მათ საქონლის რეკვიზიციის დროს იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს.

— —

გერმანულ გაზეთების ცნობით „გერმანეთ-ბულგარეთის იერიშები ბალკანეთის ფრონტზე პოლიტიკურ მოსაზრებით არის გამოწვეულიო.

— —

ბულგარეთში უკვე კარგად დარწმუნებულნი არიან, რომ რუმინეთი ომში ჩაერევაო. ამის გამო ჯარის შესაფერ განაწილებას ახდენენ.

— —

დანიის და გერმანეთის გაზეთების ცნობით ბულგარელებს 300 ათასი ქვეითა ჯარი ჰყავთ 22 პოლკი ცხენოსანი და 502 ზარბაზანი.

— —

ოფიციალად იტყობინებიან: ინგლისის პატარა კრეისერი „ლიუკფონ-ალბანი“ მოწინააღმდეგემ ჩრდილოეთის ზღვაში ჩას-

# ომის დღიური.

—

**აღმოსავლეთის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია**

**კავკასიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.**

**დასავლეთის ასპარეზი. ფლერის წინ ფრანგებმა გერმანელთა იერიშები მოიგერიეს. დანარჩენ ასპარეზები შესახებ ცნობები არ მოსულა.**

ძირათ 23 მატროსი და კაპიტანი დაიღუპა, დანარჩენი 86 გადარჩა. (პ. ტ. ს.)

—

ბუქარესტიდან იტყობინებიან: გერმანოფილების ბანაკში სასოწარკვეთილებაა რუმინეთი საომრად მზადებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია ყოველგან ცხენების რეკვიზიცია ჰხდება ამ დღეებში 800 გერმანელი და ბულგარელი ოჯახი ბუქარესტიდან გავიდა. გერმანეთის ელჩმა ფონ ბუშემ მეფეს ხელ ახალი აუდიენცია გამოსთხოვა. შესაძლებელია ულტიმატუმი წარედგინოს და მით დააჩქაროს ვითარების გამორკვევა.

—

„უტრო როს". სწერს: რუმინეთი ავსტრიას კი არ შეებრძოლება, როგორც მოელიან, არამედ ბულგარეთსო, მას მხარში ამოუდგება მოკავშირეთა ჯარიო

—

ბალკანეთის ფრონტი სამ ნაწილად იყოფა, პირველი ნაწილი—ვალონიდან ოხრიდესამდის; მეორე ფლორინედან ქორიცამდის, აქ იმყოფება 60 ათასი კაცი; მესამე ნაწილი მონასტირედან დემის გისსარამდის; აქ 130 ათასი ბულგარი და 12 ათასი გერმანელია; აქვე იმყოფება 10 ათასი მაკედონელი კომიტაჯი

## ქართული პრესა.

რომელი მხარეც უნდა ავიღოთ ჩვენის ცხოვრებისა, ყველგან სიმახინჯესა და უწესობას შეხვდებით, იმ ადვილად მისა ხვედრ მიზეზებისა გამო, რომლის შედეგადაც ჩვენი უმწეობაა...

ერი არა თვალთავის პატრონი, ერი დაბეჩავებული—გალარიბებული, ერი მოკლებული სალმშობლიურ აღზრდა—წვრთნასა და ისტორიულ გზიდან გადავარდნილი ყველგან და ყველაფერში ჩამორჩენილი, და დამახინჯებულია...

ჩვენ,—ქართველებსაც-ბევრი ავი გვჭირს ჩვენი ცხოვრების დუხჭირ პირობების გამო და ამიტომ საკვირველი აღარ არის, რომ ეს სიავენი თავს იჩენენ ხოლმე და მწარედ გვაფიქრებენ...

ერთ ასეთ სიავედ უნდა ჩაითვალოს საძაგელი ჩვეულება ნაყოფის მოშლისა ქართველ ქალთაგან...

ამის გამო გაზეთი „საქართველო" სამართლიანათ სწერს:

რიცხვი და სიმრავლე თუ ვისთვისმე საჭიროა, ეს სწორედ ქართველებისათვის. ამიტომაც ყოველი ისეთი მოვლენა, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი გამრავლების შეზღუდვისაკენ, უნდა დაგმობილი და შერცხვენილი იქმნას ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მიერ ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომ ხალხის მომრავლების წადილება ვაწარმოვოთ, სათანადო კანონების გამოცემით და ეკონომიური დახმარების აღმოჩენით იმ ოჯახებისთვის, რომელთაც ბევრი შვილი გაუჩნდება. ჩვენ არ გვაქვს საშვალება იძულებით ღონისძიებას მივმართოთ, რომ ის მამაკაცები რომელნიც ოჯახის ტვირთს აღარ ეტრფიან, და ცხოვრების ბუნებრივ წესს გაურბიან, შესაფერ ბეგარას მაინც იხდიდენ, თავის უფლად დროს ტარებისათვის, რიცხვმრავალ და ხელმოკლე ოჯახების სასარგებლოდ. ასეთი ღონისძიება სახელმწიფო ორგანიზაციის კომპეტენციაში შედის. ეს შეუძლიან საფრანგეთის და არა საქართველოს. რაც შეეხება რუსეთს, მას ხალხი არ ესაჭიროება, თავზე საყრელიც ჰყავს. ხოლო საქართველოს სპეციფიურ საჭიროებას იგი არ დაგიდევსთ. ჩვენ დაგვრჩენია, მხოლოდ სიტყვიერი და წერილობითი პროპაგანდა ამ იდეის განსამტკიცებლად. უნდა ღონე ვიღონოთ, რომ გზა შეუკრათ ფიზიკურ დაგენერატების პატალოგიურ ზნეობას, რომელიც ევროპის ზოგიერთ დასავლებულ ქვეყნიდან ჩვენსკენ მოიწევა. ოჯახის სიყვარული და სიმტკიცე, რომელიც ერთად ერთი საწინდარია საზოგადოებრივი აღორინების, მთელის თავის დიდებით უნდა დაცული იქმნას, მუცლის მოშლა და შვილის მოწყვეტა, რომელმაც ასე მოიკიდა ფეხი ჩვენს ქვეყანაში, საერთო განკიცხვისა და ზიზღის საგნათ უნდა გადაიქცეს ეს მოვლენა ძირს უთხრის ხალხის არსებობას მცირდება მომავალი თაობა, ისჯება თვით დედა-ქალიც, რომელიც ბუნების წინააღმდეგ ჩადის ამ საშინელ უკანონობას. ამ ოპერაციას ვერ უძლებს და ხშირად წუთისოფელს ესალმება ჯან-ღონით სავსე ქალი. ოჯახს ეცლება ბურჯი, ხოლო საზოგადოებას მომქმედი და გამრჯელი წევრი აკლდება. უმეტეს შემთხვევაში კი დედა-ქალი სერიოზულად ავადმყოფდება და მთელი თავის სიცოცხლეში თან დააქვს ჩადენილი დანაშაულის ღირსეული სასჯელი. ეს მოვლენა ნამეტურ ჩვენს მთებშია გახშირებული. გვეკარგება ახალი მომავალი საქართველო და საზოგადოება ამ მოვლენის წინააღმდეგ არავითარ ღონისძიებას არ ეძებს ამ მოვლენას მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს უმთავრესად თვით ქალებმა უნდა მიჰყონ ხელი სადი აზრების გავრცელებით, სიტყვიერი პროპაგანდით თუ პატარ პატარა წიგნაკების და ბროშიურების სახით. თვით ქალებმა უნდა აცნობონ თავიანთ უგნურ წევრებს, ვინც ანაწერას აუტანია, არ ჩაიდინონ ღვთისა და კაცის კანონის საწინააღმდეგო საქციელი, რომელიც ჯერ მათ პირადად სიცოცხლეს უკვეთავს და მერე მთელ ერს აობლებს, მომავალი თაობის საშოშივე ჩახრჩობის საშუალებით! ბრძოლა ამ მომაკვდინებელ ცოდოს! გვახსოვდეს, რომ სადი და რიცხვმრავალი ოჯახი ერის ძლიერებისა და აღდგომის საძირკველია.

ეს ჭეშმარიტება ქართველობას ძველთაგანვე შეგნებული ჰქონდა და ამიტომაც იყო, რომ ზედ ახალშეუღლებულ ღიღას მეკვლის პირველი მოლოცვა და ნატვრა იყო: „ისე გამრავლდეს ერით, როგორც ეს ფეტვი ბევრით".

## რუსული პრესა.

პეტროგრადელი „დენი" მეთაურ წერილს უძღვნის მიწად მოქმედების მინისტრად ახლად დანიშნულ გრ. ბობრინსკის დეკლარაციით გამოსვლას და სხვათა შორის ამბობს: „როგორც სხვა მაღალ მოხელეთა სჩვევიათ გრ. ბობრინსკიც პორთფელის აღების წინ ძვირფას მომხიბვლელ სიტყვით მოგვევლინა; მან პოეტურად აღნიშნა სასოფლო სამეურნეო საქმისადმი სიყვარული დაასურათა დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და სთქვა რაც ჩემგან დამოკიდებულია გავაკეთობო ასე ამბობს ყოველი ფორმალისტი მოხელე და ბობრინსკიც ხომ მათი წყლიდან არის.

რუსეთის მეურნეობა დღეს დიდ კრიზისს განიცდის, ხალხს არ შერჩა სამუშაო ცხოველები, არ აქვს მანქანები სათესლე და სხვა ე. ი აქ ის კი არ უნდა სთქვან, რომ რაც ჩემგან დამოკიდებულია გავაკეთებო და პოეტურად აღნიშნონ ჩვენი სავალალო ყოფნა არამედ საჭიროა ყოველ მხრივ მიზან შეწონილი მოქმედება და ყველა იმის გაკეთება, რომელნიც მიმდინარე ცხოვრების მიუცილებელ მოთხოვნილებად არის ცნობილიიო ასეთი მოხელე ხომ ხალხის გულშემატკივარი იქნებოდა და არა შტიურმერების კოლეგა დაუმატებთ ჩვენ.

—

# ახალი ამბავი.

—

შაბათს 20 აგვისტოს დ. ზესტაფონში გაიმართება **იუბილე თეოფილე ხუსკივაძისა.**

✦ წერა-კით. საზ. მასწავლებლებს. თბ. სახალხო სკოლების დირექტორმა გამოუგზავნა მოწმობები წერა-კითხვის საზოგადოების თბ. გუბერნიის სკოლის მასწავლებლებს სამხედრო უფროსთან წარსადგენად ჯარში გაწვევის ვადის გასაგრძელებლად თანხმად სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებისა.

✦ მეურნეთა საყურადღებოდ. რუსეთის ქალაქთა კავშირს სჭირია დიდძალი რიცხვი ათი ათასობით ფუთი შემდეგი ბოსტნეულობა: წითელი წიწაკა, მწვანე წიწაკა (перецъ горошкомъ) დაფნის ფოთოლი მდოგვი, (горчица) და ყველა ნაირი ჩირი. კავშირს სურს სამუდამო კავშირი დაიჭიროს მსხვილ მეურნეებთან მსურველთ უნდა აცნობონ რაოდენობა, ფასი და დრო მიწოდისა ამ სანოვაგეთა შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Жуковская №2, хозяист. отдѣлу Зак. Комитета Всерос. Зем Союза.

✦ სეხხი. თბილისის ქალაქის თვითმართველობამ ქ. ქუთაისს ასესხა ოთხი ვაგონი პურის ფქვილი იმ პირობით, რომ პური ამ მოკლე დროში ისევ დაუბრუნდება თბილისს ოთხი ვაგონი ფქვილი უკვე მიღებულია და ამ დღეებში დაურიგდება მეფურნე მეთორნეებს. ქალაქში პურის უქონლობის გამო დიდი უკმაყოფილება იყო და ამ „სესხზე მოსწრებულმა" პურმა მცხოვრებლები დაამშვიდა საჭიროა ქალაქის თვითმართველობა ამ თავითვე შეუდგებოდეს პურის ძებნას თორემ, როცა ოთხი ვაგონი შემოილევა მერე პურის ძებნა გვიანღა იქნება.

✦ კოოპერატორთა თათბირი. ოზურგეთში მომხდარ კოოპერატორთა თათბირს 46 კოოპერატორი დაესწრო ქონდათ მსჯელობა სხვა და სხვა კოოპერატიულ საკითხებზე, რომელიც წამოაყენა თანამედროვე უმაგალითო ომმა. თათბირს დაესწრენ, როგორც კოოპერატორები ისე სხვა კულტურულ დაწესებულებათა წევრებიც

✦ ახალი საზოგადოებანი. სოფელ საპაიჭაოში, სბუჯში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქ. ქუთაისის გუბერნატორის წინაშე მიეცეს ნება დაარსონ მომხმარებელი საზოგადოებანი — „იმედი" და „ჩვენი ოჯახი".

✦ დღეს კვირას 21 აგვისტოს ... ტო თეატრი „რადიუმის" დარბაზში მასწავლებელი ი. თ. ცინცაძე (ია ეკალაძე) წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რა არის კრიტიკა და როგორი კრიტიკული საზომი უნდა ვიხმაროთ სამხატვრო ნაწარმოების გარჩევის დროს". ლექცია იქნება წაკითხული ერთ ხელმოკლე ავადმყოფ სტუდენტის სასარგებლოთ

✦ საქველმოქმედო საზოგ. წევრთა კრება. სამშაბათს 16 აგვისტოს სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდა საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა კრება. კრებაზე საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აღებულ ადგილების მოურავმა კ. აბაშელიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება აჭარელი სოფლების და ხალხის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა რომ აჭარლების სოფლებში ბევრი გადახვეწილი ჯერაც არ დაბრუნებულა და ბევრი მცხოვრები. სოფლებიდან კი სრული ათაც არსად წასულა საერთოთ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აღებულ სოფლებში დიდი მუშაობაა საჭირო, რომ გადახვეწილთა ადგილმამული ისევ გაუნადგურებლათ დახვდეს თაიანთ პატრონებს.

✦ ჯარში გაწვევა. როგორც თბილისიდან გადმოგვცემენ ჯარში გასაწვევთა მობილიზაცია მოხდება 25 აგვისტოს. გაიწვევენ პირველ ხარისხისას 1898—1916 წლისას, ხოლო მეორე ხარისხისას 1910 წლიდან 1916 წლამდე.

✦ თეატრის საქმეები. როგორც უკვე ვსწერდით ჩვენი ტეატრის შეკეთება თითქმის დამთავრებულია. არის დასახატი დეკორაციები და სხვ. ამ საქმისათვის ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების თავჯდომარის ამხანაგმა ბ. ა. ფალავამ თბილისიდან ჩამოიყვანა ახალგაზდა მხატვარი ალექსანდრე ციმაკურიძე. როგორც გადმოგვცემენ ბ ციმაკურიძე იმუშავებს ჩვენს თეატრში ერთ თვემდე.

✦ რკინის გზაზე. ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველომ დაადგინა, რომ რკინის გზა არ კისრულობს პასუხის გებას მატარებლით გაგზავნილ ამანათების დროზე და წესიერათ გადაზიდვაში და შესწყვიტა ყოველივე ნივთების მიღება კასპიის ზღვიდან შემოტანილ საქონლის სად. ბაქოში.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე მეყასბეების და

## სომხები საქართველოში.

**(ისტორიული მასალები)**

(დასასრული იხ. „სამ." № 429 )

ზემორე წერილებითგან ჩვენ ვტყობულობთ, რომ თბილისის აოხრების შემდეგ, სამოცდა თხუთმეტის მოხუცი გმირი ერეკლე მეფე თბილისის აოხრების შემდეგაც ისევ მხნე და დაუღალავი ქვეყნის მომვლელი და პატრონი იყო ისევ, როგორც წინათ: მთელი გაზაფხული და ზაფხული აღამაჰმადხანის მუქარის ქვეშ გაატარა, მარიამობის გასულს უკვე დაიძრა ყარაბაღიდამ, გამოიარა განჯა, ყაზახ-ბორჩალო და მოადგა თბილისს სოღანლუღში, ენკენისთვის 10, ორშაბათს. მეორე დილით სამშაბათს ხუთი-ათასი კაცით ორმოც ათასს სპარსთა მხედრობას შეება სადამომდე იბრძოლა, აღამაჰმადხანს აჩვენა ქართველთა ხმალი; მესამე დღეს 12 სეკტემბერს-ოთხშაბათს დილითგან მოკიდებული შუადღის გადახრამდე ხმალი არ ჩაუგია და მოწინავე რაზმში ჭაბუკივითა ტრიალებდა დაქვეითებული და ისე გართული იყო მკაცრის სიმწარისაგან რომ მკლავ გასისხლიანებული ძლივს-ძლიობით გამოაბრუნეს და გარს შემოხვეული მტრის ბრძოლის ველითგან იოანე ბატონიშვილმა და ყორიასალუბაშმა. ლუარსაბ ვაჩნაძემ-ონანაშვილმა. ესე დაღლილდა მაშვრალი ერეკლე უხალისოთ შეჯდება თავის ჩალისფერ არაბის ტანზედ, გადიწერს პირჯვარს და მოგუბებულ ცრემლთაგან თვალთ დაბნელებული ავლაბრის კარზედ გადის და გასწევს ავჭალისაკენ, მზე შუბის ტარზე იყო. კანტიკუნტად გამოდიან ომით დამაშვრალნი ვაჟკაცნი და მოეწევიან თავის საყვარელ მეფეს. იმ ღამეს გლდანზედ ავლენ. აქ ერეკლე განკარგულებას აძლევს და ყარაულებს აყენებს დევის ნამუხლზედ და ჯაჭვის საყდარში.

მეორე დილით გადავიდნენ არაგვისაკენ და კაიშაურთ-კარში ავიდნენ. აქ შემოიყარა დიდებულნი, ვინც კი გადარჩნენ იმ საშინელ დღესა, და ითათბირეს, თუ „სით ჰყონ ერისა განსარინებელად მძვინვარისაგან მტერისა". ერეკლემ აფრინა ამავ დღეს გუდოვიჩთან საყვედურით სავსე წერილი. შემდეგ აფრინა კაცები ქართლ კახეთის სარდლებთან ჯარის დასაძახებლათ და შეუდგა თავდარიგსა აღამაჰმადხანის შესამუსრავათ. სამი კვირის შემდეგ გადადის თიანეთს ჯარით, ტოლიანს, ახმეტას, თელავს. გზა გზა ლეკის თარეშებს აძლევს პასუხს და აქეთ-იქით ჰფანტავს. ეჩქარება ქიზიყში ჩასვლას, რომ აქედგან სამუხზედ გავიდეს განჯაში ჯავათხანის დასასჯელათ და ტყვეების გასანთავისუფლებლათ. გზითგან ბრუნდება თიანეთისკენ და დარეჯან დედოფალი მოჰყავს ახმეტში,1) აქედათგან თელავში. ამ დროს რუსის ჯარის (ორი ბატალიონის) მომავლობის ამბავი მოართვეს და ახლა თან ამ ჯარის დახვედრის თავდარიგს შეუდგა და ემზადება სტეფან წმინდისაკენ, გასცა ბძანება ხევზე გზისა და ხიდების გაკეთებისათვის. ამავე დროს მუშაობა გააჩაღებინა თბილისში ქუჩების გასაწმენდათ ნანგრევებისაგან, ავლაბრის ხიდის გასაკეთებლათ, გასცა ბრძანება პურისა და სხ. სანოვაგის შეზიდვისათვის ქალაქში. ეხლა შეადარეთ ერეკლე მეფის ნამდვილი უნარი და მხნეობა ვიღაც არარატის და ქიშმიშევის მიერ აღწერილს, ცხვრის ტყავში, ერთი მსახურის სომხის ანაბარა, გახვეულს და ბნელს ოთახში გამოკეტილ ერეკლეს!! სამეფო კარი სომხებს ეჭირათ ხელში და ჰღუპავდნენ ქვეყანასა. მგონია, შიოშ თუმანიშვილი მდივანი უნდა იყოს ის „ერთი მსახური სომეხი."

### IX.

ერეკლემ აასრულა თავის განზრახვა იმავ ზამთარს გაუსივა ჯარი განჯას, აქ ვილაც არზუმანა სომეხი (მელიქი?) და ყარაბაღელი მეჯლუმი მელიქი თავის დასტებით ებრძოდნენ 2) ალექსანდრე ბატონიშვილს მაგრამ ორივ დაიხოცნენ იმ ბრძოლაში. დაიმორჩილეს განჯა, და მრავალი თბილისელი და სხ. ტყვე გაანთავისუფლა. თბილისის აოხრების დროს დიდათ იზარალა სამეფო ოჯახმა და სომხობამ. სამეფო შენობანი ყოველივე დაიწვა და შეიმუსრა, წინა დღეებში დარეჯან დედოფალმა გახიზნა სასახლის მოწყობილობა, რაც გაასწრეს, ეგრეთვე და ბატონის შვილებმა, რომელთაგან ძალიან დაზარალდნენ მარიამ და ვახტანგი-და-ძმა. სომხებში ცარიელ-ტარიელი დარჩნენ ოსეფა ყორღანაშვილი მელიქი დარჩია ბებუთოვი და სხვა მრავალი მოქალაქენი ცის ანაბარა იყვნენ, ცოცხალი თავი ძლივს გაასწრეს. დანარჩენი სამი ათასამდე ტყვეთ გაირეკეს.

სომხები რომ თავის საკუთარ ანგარიშებს არ გაჰყოლოდნენ და პატარა შორს მხედველობა გამოეჩინათ, მტრობის მაგიერ სიკეთე ექმნათ ყარაბაღელ სომხის მელიქებისათვის და იმათი მოყმეებისათვის—ორი ათასამდე ჩინებულს მხედრობას შეადგენდნენ და თავს მოუყრიდნენ ერთათ, შეიარაღდებოდნენ და მიუსევდნენ აღამაჰმადხანს, მაგრამ ეგრე არ მოხდა. თითონ თბილისელი სომხობა ვერ შეეთვისა ყარაბაღელებსა ორის მიზეზისა გამო: ყოფა ცხოვრება ყარაბაღელებისა სხვა იყო და თბილისის სომხობისა სხვა. ეს უკანასკნელი პირადებით მოვაჭრე და პირმოთნე ბრბო იყო, გათამამებული და განებივრებული ღვთისნიერ საქართველოში. ყარაბაღელები კი თავისუფლებისათვის მებრძოლი და მეურნეობით მცხოვრები ხალხი იყო თბილისის სომხობა ადებდა ფასს სოფლითგან შემოტანილს საქონელსაცა და თავის სავაჭროსაცა, ამიტომ როგორც ქართველები, ისი ყარაბაღელები ვერ ეგუებოდნენ თბილისელს ჩარ—ვაჭრებს, რომელთაც ერთი საერთო მცნება ჰქონდათ გულის ფიცარზედ დაწერილი—თავისი ძვირათ გაესაღებინათ, სხვისი მუქთათ ჩაეგდოთ ხელში. ჩვენ წინათ მოვიხსენიეთ, რომ იოსებ არქიელი არღუთაშვილი და თბილისის სომხობა კი შეჰნატროდნენ სომხეთის სამეფოს აღდგენასა და ამიტომ ერეკლე მეფის გაძლიერება არ ეპიტნავებოდათ. პირ-იქით ხელს უმართავდნენ რუსეთის გავლენის გაძლიერებასა და საქართველოს დაუძლურებასა. ვინ შემოაფთხო ერეკლეს ყარაბაღელი სომხობა, როგორც მხედრობა?-თბილისელმა სომხებმა, რომ მათი დახმარებით ერეკლე არ გაძლიერებულიყო და თვით ერეკლესთან აძაგებდნენ ყარაბაღელებს, როგორც ყაჩაღებსა და მოღალატე ავაზაკებსა, და გული აუცრუეს: თუ იბრაიმხანსა ჰღალატობენ და მორბიან, განა შენ ვერ გიღალატებენო? ჩასჩიჩინებდნენ არა მკითხე მრჩეველნი და კეთილის მყოფელნი.

თბილისის სომხობის თავადაზნაურობა სამეფო—მოხელენი—მელიქიანი, თუმანიანნი, ყორღანაანი ყაითმაზაანი, ამირაღანი და სხ. ვაჭრობაში იყვნენ ჩაბმულნი ქვეყანა გაოცდება როცა მანუჩარ თუმანიშვილის და სხ სვაჭრო ღვთრები დაიბეჭდება და გამოქვეყნდება: რუსეთში და სპარსეთში მივაჭრე სომხობა ხელში ეჭირა მანუჩარს. აქ ისე გაუწელებელი მწუხარება გულსა უდაგავდა იმიდენა დოვლათის დაკარგვისაგამა და შიში სე გონივრულ ნუგეშს აძლევს1) თბილისის მოქალაქენი, მეტდრე მდიდარი სოვდაგრები, ძალიან ყალთაბინდი ხალხი იყო: ჯერ ისევ 1795 წ. ლვინობისთვიდოგან ხმა გაავდეს, რომ შეძლებული მოქალაქენი თბილისში აღარავინ დავბრუნდებითო, საცა იქნება წავალთ და თავს შეაფარებთო; გავიდა რამდენიმე კვირა და ახლა დაიწყეს ყაყანი—დუშეთის სომხობა ერთიანათ იყრებიან და მაზდოქისკენ აპირებენ გადასახლებასაო როცა ერეკლემ დარეჯანმა შუბლი შეუკრეს, მაშინვე ერთმანეთს ბოდიშის ხდა დაუწყეს—„ჭორია ევაზრები გულში არავისაც არ გაუტარებიაო". მერე კი მოქალაქეებმა სამი არზა მიართვეს ერეკლე მეფეს და ეხვეწებოდნენ 1796 წ. 1 იანვარს... ჩვენ ესრეთ დალონებული და შეწუხებულნი გახლავართ და ერთი ღმერთი არის ჩვენი სასოება და ერთი თქვენი უმაღლესობა, რომ ჩვენს ნუგეშს და მოვლას თქვენის უმაღლესობის მიერ ვსასოებთ და რომელნიც დავრჩომილვართ, ჩვენი ყოველი ნაღველი და მოხსენება ამ რამდენიოთ მოპტაბარის კაცისათვის მოგვიხსენებია, რომ იმათ უმაღლესობას მოახსენონ და ჩვენის მოვლისა და ანუ ჩვენის სათხოვრის აღსრულებისა ამათ ებძანოს, რომ ამისთანა შეწუხებულდროს ჩვენის გულის სანუგეშო ნიშანი საქმე და სიტყვა გვებაძნოს ამისთვის რომ ძალიან დიდათ დაცემულნი და წამხდარნი გახლავართ.. ...ღვთის მოწყალებით, არც თქვენი უმაღლესობის წინაშე, არც ქართლზე, არც კახეთზე დანაშაულობა არა გვაქვს რა და მაშასადამე, თქვენის უმაღლესობისაგანაც და ქართლის და კახეთისაგანაც რაც ჩვენს ამგვარათ წარხდენილობასა და შეწუხებას შეეფერებდეს, იმ გვარათ შეწევნა მოგვაყენოთ რომ აგების ეს ქვეყანა (თბილისი) ვიდევ დამტკიცდეს იანვრის, ა, ქვს უპდ". 2) მეორე არზაც მალე მიართვეს და გაკვრით თავისს ასე აკლებასა და ატიალებასა მეფეს აბრალებდნენ, თავის აქ ყოფნას, პირიქით ამჟუ-

*) 1) იხ. საქ. სიძ. ტ. III, № 257. დუშეთიდგან თიანეთში მივიდა დარეჯანი 7 ოკტომბერს და იქ ორი კვირა დარჩა შიშიანობისა გამო იქ. № 309.

*) იხ. იქვე № 237.

1) იხ. ზევ. შიოშის წერილი №

2) იხ. საქ. სიძველენი, ტ. III, გვ. 312 313

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფურნეების სავაჭროები და ახლო მდებარე ეზოები ყოვლათ არა სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მიუხედავათ იმისა რომ ქალაქის სანიტარები ბევრჯელ აძლევენ მათ შენიშვნას მათზე ეს არავითარ გავლენას არ ახდენს. საჭიროა უფრო ენერგიული ზომები.

## ირლანდიის წინამძღოლთა ლანდი.

(თარგმანი).

(დასასრული იხ. „სამშ.“ № 428.)

ჰაბინეთის მეცნიერი იყო აგეთივე მესამე წევრი დროებითი მთავრობისა ტომას მაკ—დონი. ჩვენ წინ დგას მაგისტრი, სპეციალისტი ელისაბედის დროის ლიტერატურისა. მისი დისერტაცია შეეხება შექსპირის დროის მეორე ხარისხოვან პოეტს და მუსიკოსს ტამას კემპტონს. მაკ—დონა ლექციებს კითხულობდა ძველ ინგლისურ ლიტერატურაზე დუბლინის უნივერსიტეტში. თვითონ პოეტი იყო და სამ საგანს დამღერდა: ირლანდიის თავისუფლებას, სიყვარულს და სიკვდილს ჩემს წინ დევს კრებული მაკ—დონის ლექსებისა, გამოცემული 1910 წ. და „სიმღერა თავის თავზე“—დათ წოდებული სულიერი განწყობილება პოეტისა მეტ ნაწილ ლექსებში პესიმისტურია. მაგალითად ლექსი „თავის მოკვლიდან„ ამონაღები:

აი შინაარსი ამ ლექსისა:

„როდესაც მე მოვიკლავ თავს და როდესაც ნახავენ ჩემ გვამს, ისინი დამმარხავენ მე გზის ნაპირას, უკურთხ მიწაში.

„და არავინ გამიხსენებს მე; არავინ გაიხსენებს ჩემ სახელს სიამოვნებით; ისინი იფიქრებენ, რომ მაგრევე დამარხეს სამარცხვინო სამარეში წყეული ავაზაკი.

„მაგრამ საბოლოოდ არ არსებობს განსხვავება ნაძრახსა და პატიოსან სამარეს შორის, წარსულსა და მომავალ შუა, კაცის დაფასებისა და განსჯის შუა.

ან და კიდევ:

„მე ვიცი ეხლა რომ დავკარგე ის, რასაც მუდამ ვეძებდი. მე ვიცი, რომ ჩემის სულიერის სიკოტრით შევიძინე ის, რასაც სხვები იძენენ აუტანელის ტანჯვით.

და ეს პროფესორი ძველი ინგლისური ენისა ეს ირლანდიის ნადსონი, შეიქნა მეთაური, მან მოაწერა თავისი გვარი „მანიფესტის“ ქვეშ, რომელშიაც ცხადდებოდა ირლანდიის რესპუბლიკის დაარსება და დახვრეტილ იქნა საველე სამართალის გადაწყვეტილებით. როგორც სხვა მეთაურნი მან გამოიჩინა გულადობა და ვაჟკაცურად შეხვდა სიკვდილს.

სულ სხვა ნაირია მეოთხე წევრი დროებითი მთავრობისა ტომას კლარკი.

ჩვენ წინ გვეხატება შორეული წარსული ირლანდიისა, როდესაც ფარული მზადება და მუშაობა სწარმოებდა. ყველგან, ქალაქებში და სოფლად არსდება საიდუმლო საზოგადოებანი „უძლეველთა“, ტომას კლარკი იმ რიცხვს ეკუთვნოდა. რომელთაც გულწრფელად სწამდათ რომ არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური საკითხი, რომლის გადაწყვეტა დინამიტით არ შეიძლებოდეს

საჭიროა მხოლოდ აფეთქება მოახდინოთ სადმე, როგორ და რა პირობებში ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია

1882 წ. ფენიებმა სცადეს აეფეთქებინათ ლონდონის ხიდი. ტომას კლარკმაც მიიღო შეთქმულებაში მონაწილეობა გადაუწყვიტეს ციხე და ვადის დასრულების შემდეგ, გადასახლდა ამერიკაში. იქიდან დაბრუნდა რამდენიმე წლის შემდეგ და ცოტა ფულიც ჩამოჰყვა. თამბაქოს პატარა მაღაზია გახსნა. კლარკს ახოვანი გარეგნობა ჰქონდა.

მაღალი, ლამაზი მოხუცი, გძელი ჭაღარა თმით და წვერით ის წარმოადგენდა ნამდვილ ტიპიურ „განსურათებულ“ რევოლიუციონერს. როგორც უანგარო კაცი კერძო ცხოვრებაში და როგორც უკვე ბევრი წვალება გამოვლილს კლარკს დიდ პატივსა სცემდა ახალგაზდობა.

ტომას კლარკი გულგრილად ექცეოდა ჯემს კონნოლის სოციალისტურ იდეებს, მისთვის რომ „ფეინები“ ამით არ იყვნენ დაინტერესებული.

როგორც ეტყობა ის პატრიკ პირსის ნაციონალისტურ იდეიებსაც ძლიერ ეჭვის თვალით უყურებდა და კუხულინის და მეფე კანიბარის გმირობანი არაფრად ეჰაშნიკებოდა. როგორც ძველ ტერორისტს, მას „პარლამენტიორები“ ეზიზღებოდა, მისთვისაც მიემხრო იმ ჯგუფს, რომელიც „საქმე“ზედ ლაპარაკობდა ე. ი. შეიარაღებულ აჯანყებაზედ. ძველი ფეინისტი მშვიდათ შეხვდა სიკვდილს და მოითხოვა, რომ მისვის თვალები არ აეხვიათ.

იმგვარი პიროვნებები, როგორიც არის მეხუთე წევრი დროებითი მთავრობისა ჟოზეფ პლენკეტი ჩვენ უნდა მოვნახოთ ვანდეის აჯანყების ისტორიაში ან დაუნგრეთის რევოლიუციაში.

ჟოზეფ პლენკეტი სულით ლარონ ჟაკოლენს ენათესავება. ჩვენ წინ იმ ტიპის პატრიოტია, როგორიც არის ახალგაზდა გრაფი, ყველასგან ცნობილი მიხაილოვის ლექსში „თეთრი ჩადრი„ ამისთანა გმირი მიდიოდა სახჩობელაზედ გაბედულ ნაბიჯით“.

ჟოზეფ პლენკეტი შვილია შეძლებულ მემამულისა, დაუღალავ მებრძოლის პაპის უფლებების აღდგენისათვის. მთელი ოჯახი პლენკეტებთა მონაწილეობას იღებდა სინ-ფეინისტების მოძრაობაში. იმათთვის ეს მოძრაობა უწინარეს ყოვლისა იყო კათოლიკური მოძრაობა, რომელსაც მიზნათ დაესახა ძველი ირლანდიის აღდგენა.

პლეკენტის მამა პოეტი იყო. მისმა სიკვდილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ირლანდიაზე და რაღაც რომანტიულად და მისტიურად იმოქმედა მათ წარმოდგენაზე.

სიკვდილით დასჯა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა პლენკეტის შვილს როდესაც მან გამოსთქვა სურვილი თავის საცოლოს შერთვისა. საცოლო მისი სამგლოვიაროდ გამოწყობილი, თვალ-ცრემლიანი წავიდა საქორწილო ბეჭდების საყიდლათ პანკეტმა დაიწერა ჯვარი საღამოს 8 საათზე, ციხეში. დილამდის ისინი ერთად იყვნენ და გათენებისას კი პანკეტი დახვრიტეს.

ირლანდელთა აზროვნებაზე ძლიერი გავლენა იქონია პუბლიცისტის შილ—სკიფინგტონის სიკვდილმა. ისიც სინ—ფეინისტი იყო, რომელიც მხოლოდ წარსულით ცხოვრობდა და მშვიდობიანობის მქადაგებელი იყო. მან პირველმა იწინასწარმეტყველა აჯანყების შესაძლებლობა. დასწერა კიდეც წერილი ამის შესახებ, მაგრამ არც ერთმა ინგლისურმა გაზეთმა მას წერილი არ დაუბეჭდა. მხოლოდ მის სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნეს მისი წერილი.

როდესაც ამბოხება დაიწყო, სკიფინგტონი წავიდა ქალალდების გასაკრავად, რომლითაც იწვევდა ხალხს: მაღაზიებს ნუ დაარბევთო ის ტყვედ იყო წაყვანილი ჯარის კაცებისგან და მიუხედავად იმისა, რომ უიარაღოდ დაიჭირეს, მაინც სიკვდილი გადაუწყვიტეს და იქვე დახვრიტეს. ის აფიცერი, რომელმაც ამ გვარი განაჩენი გამოიტანა, უმაღლესმა მთავრობამ სამართალში მისცა.

საგულისხმო ტიპია კიდევ „მაიორი მაკბრაიდი“. ჩვენ წინ იმდენად მებრძოლი რაიმე იდეალისათვის არა სდგას, რამდენადაც „მოძულე“ ინგლისელთა. როდესაც ვიქტორია ესტუმრა ირლანდიას, ნიშნათ მათთან შერიგებისა, მაკ-ბრაიდმა ცოლთან ერთად შეაგროვა რაც დაბლინში დაძონძილი ბაღლები იყო და დედოფალს დარაზმული დაახვედრა, ბაღლები ამბობდენ ხალხურ სიმღერებს, რომლებშიაც იხატებოდა ირლანდიელთა სიძულვილი ინგლისისადმი. ბურებთან ომის დროს მაკბრაიდი ბურებს შეუერთდა და კრიუგერმა მაიორის ხარისხი მისცა. მაკ-ბრაიდი ამნისტიამ დააბრუნა თავის სამშობლოში, 1903 წ. აი პროფილები ყველაზე ცნობილ მეამბოხეთა. იდეალი, რომლისათვისაც ისინი იბრძოდენ, უცნობია ირლანდიის უმრავლესობისათვის. ეს იდეალი ვიწროა; ლოღიკურად მას უნდა მიეყვანა ყველა, როგორც უნგრეთში, ძალდატანებამდე მაგრამ მეთაურებმა იმოდენა თავგანწირულება და იმოდენა ვაჟკაცობა გამოიჩინეს, ბრძოლაში და სიკვდილის წინ, რომ ხალხში ულრმესი თანაგრძნობა გამოიწვიეს. კაცობრიობის ტრაღედია იმაში კი არ არის, რომ ყველაზე კეთილშობილნი დ სულით სპეტაკი ხალხი მოჩვენებებს მისდევენ—კაცობრიობის ტრაღედია იმაშია, რომ კეთილშობილ და სულით წმინდა ხალხს შეუძლიან გაჰყვეს სისხლში ამოსვრილ მოჩვენებას, იმ მოჩვენებას, რომელმაც ამდენი ცრემლი და წვალება მოუტანა ხალხს.

გრ.

## მწარე სინამდვილე.

იმ დღიდან, რაც საქართველო თავის თავს აღარ ეკუთვნის ქართველი კაცის ბუნებამ ერთგვარი მონური და მოდუნებული ხასიათი მიიღო.

ქართველ კაცს თითქოს მოსწყინდა ადამიანური და თავისუფალი ცხოვრება.

იგი ადვილად შეურიგდა მისი ერის ყოველგვარ შეურაცჰყოფა დამცირებას და ბოლოს ამ დამცირება-შეურაცჰყოფის თაოსნობა ბევრმა თვით იკისრა.

დღეს საქართველოში მრავალს შეხვდებით ისეთ ქართველს, რომელსაც „ბრჰყვიალა ღილებისთვის თავი შეუწირავს, და მზად არის, თუ საჭიროებამ მოსთხოვა მთელ ქართველობას ქვა და გუნდი მიაყაროს და იგი უარჰყოს.

ასეთ ბრალდების დამტკიცება ყოველ ნაბიჯზე ფაქტებით შეიძლება.

ამჟამად აქ მოვიყვანთ ერთ შემთხვევას, რომლის მოწამე ჩვენ ვიყავით.

ჩემს თავს ვეკითხები: რად ხდება აგრე? რისთვის შემოიჭრა ჩვენს სულში ესეთი სიმახინჯე?

თუ ამ 115 წლის წინად თავ მოსაკვეთად გამზადებული ქართველი შეუბრალებელ ჯალათების წინაშე მდგომი, შეუპოვრად აღიარებდა თავის სარწმუნოებას და ეროვნებას, დღეს რა ღმერთი გაწყრა?

ვინ დაგვწყევლა? რომელი დემონი შემოიჭრა ჩვენს სულში?

მაგრამ განა ღირს ამაზე ლაპარაკი?

ამ საკითხის გამო ჩვენში ვინ არ აფრქვევდა ცრემლს, მაგრამ ჩვენის ფიქრით, ცრემლის ფრქვევა დიდი შეცდომა იყო და მის მაგივრად საჭირო იყო საქმის გამოსაბრუნებელი შესაფერი მოქმედება.

ამ ჟამად ყველაზე სატირალ სადარდელი ის არის, რომ დიდებისგან სამშობლო ქვეყნის უარჰყოფა, აბუჩად აგდება გადადის ახალგაზდობაზე.

დღეს მთელი ქართველი ახალ-გაზდობა ბრძოლის ველზეა.

უბრალო ჯარისკაცთა შორის ბევრია ოფიცრებიც

---

ნათებდენ. თბილისის აოხრების შემდეგ საქვეყნოთ დამყარდა ქართველთათვის მეტათ მავნებელი შეხედულება, ვითომც თბილისიდგან ბარგი ბარხანით გაქცეულ მოქალაქეებს იმერეთის და ქართველის ჯარის კაცები მიესივნენ და უწყალოთ სცარცვავდნენ და იკლებდნენო მერე ვინ? სომხებმა—სახელოვანმა გენერალმა ქიშმიშევმა, არარატსკიმ და კომპ. დღეს ვიცით რომ მართლაც აიკლეს და გაცარცვეს აუარებელი ურმებით გახიზნული საცხოვრებელი საქონელი ბატონიშვილის ვახტანგისა, ქიზიყმოურავის ზაქარია ანდრონიკაშვილისა, დავით სარდლის ციციაშვილისა, მოლომან ტერშმოვანისა სულხან მანუჩარ თუმანიშვილებისა, ოსეფა აღ ალდო ყორღანაშვილებისა მელიქის დარჩიას და სხ. ნამდვილათ კი იმ დროს მცარცველნი და ამკლებნი გახიზნულ გზათ მიმავალ ხალხისა იცით მერმე ვინა ბრძანდებოდნენ? ნამდვილი სომხები და უბრალო მომაკვდავნი კი არო გეგონოთ ვინი, მათგანი ერთი ბრძანდებოდა სომეხთა წარჩინებული მაშინაც და ეხლაც გვარის შვილი ფარსადან არღუთაშვილი თავს ამხანაგებით ამათ მეტი გულქვაობა და კაცის მჭამლობა გამოიჩინეს სპარსელებზედ. მოქალაქენი ერთი მეორეს სცარცვავდა და იკლებდა, ბოლოს ერეკლეს აყვედრიდნენ. შეიქნა მოკითხვა, ძებნა გამოძიება. ზაქარია მოურავმა და შიოშ თუმანიშვილმა (სულხანის შვილი) მოქალაქის იპოვეს ზოგიერთი თავისი დანაკარგი დმ მელუმას ქვრივისა და ობლის იპოვეს ქურდებიც და და ჩამოართვეს შემდეგი ხელწერილები.

ა)„ ქ. ესე წიგნი მოგეცით თქვენ ქისიყის მოურავს ბატონს ზაქარიას, მდივანს სულხანს და მელუმას ქვრივსა და ობოლს ჩვენ არღუთას შვილმა ფარსადანმა, დურმიშხაშვილმა როსტომამ, ასე რომ დუშეთს წიწოაშვლთან თქვენი საქონელი ყოფილიყო და იმ საქონლის ქურდობა შეგვაჩნდა, მერმე სამართალმა ის საქონელი რაც გვიჩნდა ხელთ მოგვაცემინა თავნი და შვიდეულის მოცემა გვიბძანა 2)

იმ შვიდეულის გირაოთ რისაც ყმისა და მამულის მქონებელი ვიყავით მთლათ გირაოთ დაგიდევით; ამის გარდა სხვასაც რომ კიდევ გვედავებოდით, თუ ისიც ჩვენში გამოჩნდეს იმისთვისაც ასე შვიდეულათ პასუხი უნდა გაგცეთ და როდესაც ეს გარდასადი გარდასახადი გარდავიხადოთ და მოგაბაროთ, მერე ეს ჩვენი გირაოები ისევ ჩვენ დაგვანებოთ. მარტის იჰ. ქვს უპდ. (1796). ამ ფასანასი (არღუთაშვლი ფარსადანი) და როსტომას სიტყვით ამირალაშვილს ფარსადანს დამიწერია და ეს სწორეთ ჩემი ხელია ფარსადან მე საგინაშვილი ნიკოლოზ მოწამე ვარ. მე ნახუცრისშვილი ქაიხოსრო მოწამე ვარ. ქ. ავლაბრის მამასახლისის დავით ამის მოწამე ვა (ბეჭ) მე მელიქიშვილი ავთანდილ ამის მოწამე ვარ. ქ. ბაქოულო ხუცესი ციცის შვილი გივი ამისი მოწამე ვარ (ბეჭ.)

მე ბაქოულთ ხუცესი პაპოა ამის მოწამე ვარ (ბეჭ.) ამის მოწამე ვარ ნიკოლოზ აბხაზი ქ. ამის მოწამე ვარ გლურჯიძე მოლარეთხუცესი ნიკოლოზ ქ. ამის მოწამე ვარ ნაცვალი თომა (ბეჭ.) ქ. ამის მოწამე ვარ ამირალასშვილი იოანე. (თავში აწერია:) „ქ. ჩვენ ქართლისა და კახეთისა და სხ. ირაკლი ამ წიგნს ვამტკიცებთ მარტის, იჰ ქვს უპდ 1796 წ (ერეკლე) ზაქარია მოურავის ძმამ აბელ ანდრონიკაშვილმა ნაქურდალის საქონლის მოძებნა და გამოტანა მიანდო ხელწერილით მდივანს შიოშ თუმანიშვილს, საშვიდიდგან გასამჯელო $^{3}/_{4}$ აღუთქვა და ოთხი ნაშვიდალი უნდა აბელს მიეღო. თუმანიანთ ნაპოვნი საქონელი დუშეთში 36 ნაჭერი ცოლარე საამ შანშევილმა (სომეხმა) დაიჩემა „—ეს ჩემის სიძის ავეტიქაანთ სტეფანასი არისო“ და მილოვიდეც მანუჩარმა გაიმტყუნა შანშიაშვილი და სტეფანას ცოლისაგან მიიღო 36 ნაჭრიდგან 23, და დარჩა წასაღები 13. ამ ჰკვიანმა საამ შანშევილმა ზაქარია მოურავის საქონელიც დაიჩემა და ჩააბარა ავეტიქაანთ სტეფანას ცოლსა.*) სულხან მდივან. მა თავის მხრივ იმავ ქურდებს ჩამოართვა ცალკე შემდეგი ხელწერილი: „თქვენ მდივან სულხას მე არღუთაშვილმა ფასანამ, დურმიშხანაშვილმა როსტომამ და წიწუაშვილმა ოჰანეზამ ეს წიგნი მოგეცით. დუშეთ წიწუაშვილისას შენი სამი საპალნე საქონელი იყო, ისინი ჩვენ დავიხსენით და ჩვენ მოვიპარეთ, რომ ჩვენ წავგვედო. მერე შეგვიტყვე და ბატონი იასაულით ზოგიერთი მოგვატანინე და გამოგვართვი, და რაც დარჩა რომ შენის საქონლისა გაკლია, ამ ნუსხის ორსავ პირზე სწერია. ამ დაკლებულის საქონლისათვის დაჭერილნი ვიყავით, რომ ესეც უნდა მოგვეცა. მოვედით და შემოგეხვეწენით და ამაში (სიაში) ხსენებულის თავმდებების მოცემით ჩვენ ტუსაღობიდამ (კი) აგვაშვებინე. ჩვენც ეს პირობა მოგეცით—წავიდეთ საცა ჩვენ საქონლები დამალული და შენახული გვქონდა. იქაც მოვნახოთ და ჩვენც ერთმანეთში რაც გვქონდეს, ისიც მოვიკითხოთ; რაც ამ საქონლისა ვიპოვოთ მოგიტანოთ და მოგცეთ და რაც რომ ვერ მოგიტანოთ, ის ორ-სამ მოქალაქეს ღვთის წინაშე ღირებულათ დავაფასებინოთ და რაც ფასი დადგეს, ის ჩვენ სამთ თანასწორათ მოგცეთ. მერე თუ ჩვენ ერთმანეთთან სიტყვა გვქონდეს, ერთმანერთს ველაპარაკოთ და გავსწორდეთ. ეს საქმე ერთს თვეზე უნდა გავსწმინდოთ. მე ფასანას მომიცემია თავმდებათ ასლამაზაშვილი ავთანდილ, მე როსტომას მომიცემია თავდებათ ქალანთრიშვილი ალალუა. ამ წიგნის ძალით თუ ჩვენ ვერ მოგცეთ პასუხი, ამ ჩვენმა თავმდებებმა მოგცენ პასუხი ამ სამის კაცის პირით. მე ამირალაშვილს ფარსადანს დამიწერია. დაიწერა თებერვალს, ვე, ქვს უპდ. 1796. 25 თებერ. ფასან როსტომ ოჰანეზ. თავმდებნიც ხელს აწერენ.

ეს ხელწერილი მანუჩარ მდივნის დაწერილს დანაკარგის სიაზედ ბოლოში მიწერილი სიიში სულ 168 ნაჭერია მოხსენებული აქეთგან რჲ (160) ალთმიშლული თბილელისა; 10 თეთრი; ორი ოქროს ნივთი, 32 ვერცხლის ნივთია. *) რამდენათაც ჩვენ მივიკვლიეთ, ფარსადან (ფასანა) თავადი ირღუთაშვილი განაყოფია რუსეთში სომეხთა ეკლესიების გამგებლის მთავარ ეპისკოპოზის იოსებ არღუთაშვილისა. ჩვენ განცვიფრებულნი ვართ ოდესმე მშიერ-მწყურვალნი არღუთანი შემოეხიზნენ საქართველოს სამეფოს, ქართველთა მეფეებმა უწყალობეს თავადობა, მთაბარი, სანაინის მონასტერი სასაფლაოთ—და ამისთანა სამარცხვინო საქმეში როგორ გაერია? მაგრამ ვნახავთ შემდეგ, რომ თავადნი სომეხნი უფრო სამარცხვინო საქმეებსა სჩადიან და მათთვის სათაკილო ღმერთსა არა გაუჩენიარა!!... აი საქმე თბილისის გახიზნულ მოქალაქეთა აკლებისა და გაცარცვისა ვინ ჩაიდინა. სომხებმა არარატსკიმ და ქიშმაშევმა კი ქართველებს გადააბრალეს. ჩვენ ქართველ კაცს არ დაუფიცავთ ესრეთს საქმეში გაურევლობასა, მაგრამ აქ საწყენი და საჩივლელი არ არის, რომ სომეხთა მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქმე, ქართველებს გადააბრალეს და თვით პირმოწმენდილები დაბძანდნენ. ასეა ბატონებო, ისტორიულათ ძვალ-რბილში გამჯდარი მტრიელის თვისება არ იქნა არ განაგდო სომეხთა მოწინავე რაზმმა. დღესაც ყოველივე ქართველთა საკუთვნო სიკეთეს თვითონ იჩემებენ და თავისს უვარგისს ავს საქმეს ქართველებს თავზედ ახვევენ, იმას ვილა ჩივის, რომ ქართველთა ძველი ეკლესიები, ნასოფლარები დაიჩემეს და ტკბილათ დაბინავდნენ, რომ ეკლესიების ქართულის წარწერებით ქვებს ამტვრევენ, შლიან და ჰბღალავენ ისტორიულს ცნობებსა. გადაშალეთ ე, რეკლიუს „Земля и люди“ ტ. VI, სვეტი 225, გამოც. 1898 წ. რუს თარგმ. აქ დახატული ტიპები და ტანთსაცმელი სომხებისა: ქართველ თავადის ქამარ ხანჯალსა და ტანისამოსში გამოწყობილი პირველივე შეხედვით შეამჩნევთ, რომ ყურთმაჯებიანი ჩოხა მაუდისა. ან ნათხოვარია, ან მოპარული ი'ე უშნოთ აღგას! გადაშალეთ იქვე 353 სვეტი და ნახავთ ცის ბალახოვან ეზოში დროს გატარებას ოთხის სომხისა: ოთხნი სხედან, მათგან სამს აზარფეშები უჭირავთ ღვინით სავსე, სამნი სავსე ღვინით ორი ტიკჭორით და შუალა დოქით ღვინოს უსხამენ, მერიქიფეები. მითომ ერთი არ ეყოფოდათ!) ორნი გამოწყობილნი არიან ქართულ აზნაურის ტანისსამოსში, მასრებიან ჩერქესკაში და, სწორე მოგახსენოთ, ეტყობათ თითქოს უთხოვნიათ ვისთვისმეო. ამას თავი გავანებოთ: წინ გდია ერთი სავსე დიდი ტიკი, გვერდით უდგას უყურო დოქი, იქვე მარჯვნივ ყურიან ქოთანში პატარა ბიჭი ციცხვით ღობიოს შეჰამდსა ზელავს; მარცხნივ შეშის ნაჭერში ქართული ფთიანი ტარიანი ცულია ჩარჭმული პირით.

მღ. პ. კარბელაშვილი.

დასასრული პირველი ნაწილისა.

2) თბილისის აოხრებ ს შემდეგ ერეკლე მდივანხანა, ჰასჩანს, მეშამბლა.

*) იხ. საქართვ. სიძველენი ტ. III, გვ. 106 და თუმანიანთ დანაკარგის სიები და სხ. საბუთები ჩვენს ხელშია.

*) ფრი დ სმინტერე ოა ეს სია ჩვენის ძველი ოჯახის ყოფა ცხოვრების შესასწავლათ, მარტო რამდენი სახელია ამ შინ სახმარი ნი თისა, რაც დღეს აღარც არის და არც იხ არება. თ ვის დროზედ დავბეჭ ავთ.

აი, ასეთი მოაზროვნენი არიან დღეს ბედშავ საქართველოს სასირცხვო შვილები, იმ ძვირფას გმირების აჩრდილები, რომელნიც საქართველოს სახელის შეურაცჰყოფისთვის უსასტიკეს წამებაში ლევდენ სულს...

რა გაეწყობა, ჟამთა თავის ნებაზე ბრუნვამ ყველაფერი თავის გემოზე გარდაქმნა...

რასაკვირველია ეს მხოლოდ თითოეულ პიროვნების ბრალი არ არის არამედ იმ დუხჭირ ყოფა ცხოვრებისა, რომელშიაც საქართველო ჩავარდა. მდგომარეობა ადამიანს „თავისებურად ქმნისო“ სთქვა ნაპოლეონ ბონაპარტემ და ეს სავსებით გამართლდა ქართველების შესახებ.

დღეს თითქმის ყოველ ქართველის ოჯახშია შეჭრილი უცხო ზნე ჩვეულება; ქართველი აღარ არის ქართული საქმის კაცი არამედ მოხელურად წამოსკუპებული, რომელიმე კანცელარიაში.

ან, თუ თითო ოროლას განუზრახავს ქართულად მუშაობა შიმშილით კვდება, და უიმედობას მისცემია, რადგან ქართულ საქმეებში ფული არ ატრიალებს...

ან რომელი ქართული საქმეებია? ჩვენში ყველაფერს უცხოელნი აწარმოებენ ისინი მდიდრდებიან!.. ქართველი მოხელეებიც ნაშონ ფულს უცხოელებთან ხარჯავენ.. გაზეთს, ჟურნალს, და ერთი სიტყვით ყველაფერს უცხოსას ყიდულობენ...

ასეთ ცხოვრებიდან გამოსული ახალგაზრდობა რა გასაკვირალია, რომ გადაგვარებული იყოს მაგრამ ამ საბედისწერო მოვლენისთვის გულცივად ცქერა ჩვენი დამღუპველი იქნება და ახლავე უნდა მივიღოთ ფართე ზომები. ეს ზომები უნდა იქმნეს, ყოველმხრივი, და ყოველგვარ ხასიათის. მაგალითად ჩვენს ჟურნ. გაზეთებში ხშირ ხშირად უნდა ისტამბოს წერილები გადაგვარებულების მოსაქცევად. კერძო საუბარში, კრებებზე შეგნებულ ოჯახებში და ბოლოს ქართულმა სხვა და სხვა ხასიათის დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას, მით უმეტეს, რომ პოლიტიკურ ძალა-უფლება მოკლებულ ერს თავის სხეულის მთლიანობის დასაცავად, ეს შინაურ საზოგადო ორგანიზაციები ყოველთვის დიდ სამსახურს უწევენ.., თორემ ამ საშინელ ქარტეხილში, სადაც ასი ათასობით იქნება ქართველი ახალგაზრდობა, ათასობით კიდევ ქართველთა გადაგვარება ჩვენი მომსპობი იქნება.

თუ მოხელეებს ველარ მოვნათლავთ, ახალგაზრდები მაინც მოვნათლოთ და შევინარჩუნოთ ჩვენი უკანასკნელი ძალა.

ქართველ დედას მოვაგონოთ თავის მოვალეობა, რომ თუ მას საქართველოს ხსნა ჰსურს, მაშინ ამისთვის შესაფერი შვილი უნდა აღზარდოს და არა ბრჭყვიალა ღილებიან, მოარშიყე-კლუბისტ-გადაგვარებული...

მივმართოთ იმ ქართველ მხედრობას რომელთაც არ დავიწყნია თავისი მრავალ ტანჯული სამშობლო, რათა მათ თავის გადაგვარების გზაზე მიმავალ ამხანაგებს შეაგნებინონ, რომ ისინი არ არიან სასირცხვო უთვისტომო ერის შვილები, არამედ არიან ძენი საქართველოისა. იმ საქართველოისა, რომელსაც ჰქონია თავისი საკუთარი ისტორია, კულტურა, სამეფო, განუცდია ძლიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მის კულტურულ შემოქმედებას წარმოუშვია ჰენიოს შოთა ამ ერს ჰყოლია აგრეთვე მხედრობა, რომელნიც თუმცა ჩინ-ორდენებს არ იღებდენ, მაგრამ მათი სახელი მთელ საქართველოში ჰქუხდა...

მტრებიც იცნობენ მათ.., მაშასადამე ასეთი ერის შვილობის სახელის ტარება არავისთვის დასაძრახისი არ არის, და ქართველებმა ბედის ჩვენდა არა სასურველად ტრიალის გამო გადაგვარებულებმა მყისვე უნდა პირი მოიბრუნონ და თვით სახრჩობელაზეც სთქვან „მე ქართველი ვარ, სულით ქართველი და წევრი საქართველოსიო

ი. დიდიძე.

## პატარა ფელეტონი.

### „ღვთის გულისთვის“!

— დამეხმარეთ „ღვთის გულისთვის“ — ემუდარებოდა ახალ გაზრდა სტუდენტი გრძელ წვერა მოხელეს—მიშველეთ, როგორმე...

მე შევაღე ოთახის კარები. ციხის უფროსის თანაშემწე იდგა შუა ოთახში და რაღაცას ელაპარაკებოდა ახალგაზდა სტუდენტს. ოთახში სხვა მთხოვნელი არ იყო, და თანაშემწე ეს ეს იყო წასვლას აპირებდა ..

— აკი გითხარით, ყმაწვილო, რომ ადგილი არ არის მეთქი: არ შეიძლება, გესმით არაფერი მოხერხდება

— გთხოვ, ბატონო თანაშემწე, ღვთის გულისათვის, როგორმე... და სტუდენტი შესჩერებოდა თვალებში სატუსაღოს უფროსის თანაშემწეს, თითქოს უნდა ამოიკითხოს მის თვალებში თუ რას ფიქრობს ისო.

მოხელეს უკმაყოფილება დაეტყო სახეზე—რითი დაგარწმუნოთ რომ არაფერი შეიძლება, ყოვლად მოუხერხებელია...

ამ დროს მეორე ოთახის კარები გაიღო და გამოჩნდა ყაჟარა კაცი—სატუსაღოს უფროსი.

— აი უფროსიც აგერ მოდის—თვით გეტყვით, რომ ყოვლად შეუძლებელია თქვენი თხოვნის ასრულება... ბატონო ივანე არქიფოს ძევ დააჯერეთ როგორმე ეს ყმაწვილი...

— რაშია საქმე? შეეკითხა ის თანაშემწეს

— რაშია და ვერაფერის გზით ეს სტუდენტი ვერ დავაჯერე, რომ ცოტა ხანს მოიცადოს მაგას ერთი თვის ციხე აქვს გადაწყვეტილი. გუშინ გამოუცხადეს და დღესავე უნდა ციხეში ჩაჯდეს .. არ მცილდება... ადგილი კი სრულიათ არ არის. თვითონ კარგათ იცით, რომ ყველა ოთახები სავსეა, სადაც ერთი უნდა იჯდეს იქ ათი ზის, სატუსაღო სულ გატენილია და ეს მეორე დღეა არ მშორდება ჩამაყინე და ჩამაყინე ეხლავესო, სად უნდა წავიყვანო ეხლა მაქ? სტუდენტს მღელვარება დაეტყო.

— ღმერთო ჩემო; ასე როგორ შეიძლება—მომისაჯეს ერთი თვის ციხე—კიდევაც უნდა ციხეში ჩამსვათ: ეხლა მე დრო მაქვს, ეხლა შემიძლია ციხეში ვიჯდე-კი არა და ეს ჩემთვის ხელსაყრელია-უფრო მოვემზადები ეგზამენისათვის. შემდეგ კი ეგზამენები მაქვს. ეგზამენების დროს რომ ვიჯდე ეს ხომ დაკვლა იქნება ჩემი; წელიწადიც დამეკარგება და დავიღუპები კაცი... შედით ბატონებო ჩემს მდგომარეობაში.

— მაგრამ თქვენც შედით ჩვენს მდგომარეობაში. აკი გეუბნებით ერთი და ორი კი არ უცდის ჯერს—ასობით ცდიან. არ არის ადგილი, რას იზამ, რას გააწყობ?!...

— ჩემი რა საქმეა—გულმოსულათ სთქვა სტუდენტმა. მე რა მენაღვლება—გადამიწყვიტეს ერთი თვე-კიდევაც უნდა დამაჯინოთ მე არა ვიცი ის... მოცდა არ შემიძლია, ჩემთვის ეს დაკვლაა. მე მოვითხოვ ჩემს უფლებას—ჩამსვით ციხეში და მორჩა!

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ყმაწვილო გააწყვეტინა მას მოხუცმა მოხელემ. ნუ აღელდებით. თქვენს ბედზე შემოვედი მე აქ, მგონია მე თქვენ გიშველოთ—ხვალ საღამოს მე თავისუფალი ადგილი მექნება!...

— ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა!!.

— დიახ, ხვალ საღამოს რვა საათზე თავისუფლდება ადგილი, ბევრია მთხოვნელი, მარა მეცოდებით და დაგითმობთ თქვენ, მხოლოდ გახსოვდესთ-რვა საათზე. ცხრის თუთხმეტზე გვიან იქნება. არ დაიგვიანოთ...

— რას მიბრძანებთ... როგორ დავიგვიანებ, ხუთი საათიდან აქ ვიყარაულებ.. ოჰ, რა მადლობელი ვარ თქვენი, რა მადლობელი. თქვენ კი—მიუბრუნდა ის გრძელ წვერა მოხელეს-თქვენ კი კინაღამ სახლში სულ ცალიერი გამიშვით, ხომ დავიღუპებოდი კაცი. ხომ დავიღუპებოდი...

— ბედი გქონიათ... იღბლიანი კაცი ყოფილხართ-უპასუხა გრძელ წვერა მოხელემ.. მეც მოხარული ვარ, რომ ასე კარგათ გათავდა ეს საქმე.

ორვე მოხელემ მხიარულათ გადიხარხარეს და გამოეთხოვენ მხიარულსავე ახალგაზდას. .

— —

გავიცინოთ ჩვენც მკითხველო და ვევედროთ ღმერთს, რომ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში არვის დასჭირებოდეს ციხეში ჩაჯდომისათვის „ოჩერედის“ ცდა..

მახათი.

## პროვინციის ცხოვრება.

### ხ. უკანეთი.

14 აგვისტოს, უხვი ქველმოქმედის, სასიქადულო ადამიანის ეკატერინე სარაჯიშვილის გარდაცვალების მეცხრე დღეს, სოფელ უკანეთში, მისი სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი იქმნა გადახდილი. წირვა-პანაშვიდის შესრულების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას მღ. მიხეილ ბუაჩიძემ შემდეგი სიტყვით მიმართა: „ერის კულტურული ზრდა დამოკიდებულია მის ნივთიერ მდგომარეობაზე ნივთიერად მდიდარი ერი კულტურულად ყველგან მაღლა სდგას. ქართველი ერი

ღარიბეში ჩავარდა. ამ გარემოებამ ჩვენში სწავლა-განათლების საქმე ძალზე შეაფერხა. ეს სამწუხარო მოვლენა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებმა ნათლად გაითვალისწინეს და ქართველი ერის კულტურულად ასამაღლებლად თავის მონაგებიდან წვლილის გამოღებას არ იშურებენ. ბევრი მათგანი უხვ შეწირულებასაც იღებს. ერთი ასეთი უხვი ძველი მოქმედი და სასიქადულო ადამიანი, ქართველი ერის დიდათ სამწუხაროდ, საქართველომ ხუთს ამ თვეს დაკარგა და თერთმეტს კი, ჩვენ დედაქალაქ თბილისში, იმ ეკლესიის გალავანში, სადაც დიდებული თამარი დაგვირგვინდა, საუკუნოდ მიწას მიაბარა ეს სასიქადულო ადამიანი ეკატერინე სარაჯიშვილისა იყო. ამ საუკეთესო ქართველმა ქალმა თავის ქონების უდიდესი ნაწილი, თითქმის ერთი მილიონი მანეთი, ქართველი ერის სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს უანდერძა და ამ სახით მათი სასარგებლო მოქმედება საუკუნოდ უზრუნველჰყო. განსვენებულის ასეთი მოქცევა საუკეთესოდ ახასიათებს ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭს და პირადად მისი სულის სიდიადეს და მოყვასის სიყვარულს. მხოლოდ დიდ ბუნებოვან ადამიანებს შეუძლია საერთო სამსხვერპლოზე ასეთი დიდი მსხვერპლის მიტანა, მადლიერი და შეგნებული საქართველო არასოდეს არ დაივიწყებს საუკეთესო და უკეთილშობილესი ქართველი მანდილოსნის, ეკატერინე სარაჯიშვილის სახელს. საყვარელო მსმენელნო, ამ უწუხარების ჟამს, განვიხაროთ იმ რწმენით, რომ არასოდეს არ მოკვდება ის ერი, რომელსაც ეკატერინე სარაჯიშვილისთანა დიდ ბუნებოვანი და სულით სპეტაკი ადამიანების წარმოშობა შეუძლია. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი

დროებით უკანეთელი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 „ |



# გამოიცა და იყიდება.

## კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое слово“ ნაწ I მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული. შედგენილი **ს. ოცხელის** მიერ. ფ. ღდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდიული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“ თანაგრძობით შეხვდა პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდის შემდეგ იმ დასკვნამდი მივიდენ, რომ „Новое слово“ თი სწავლებით მოწაფეები არა ჩვეულებრივ ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას. სამოსწავლო ოლქმა, თანახმად ოლქის მზრუნველის დადგენილებისა, ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია. Способъ разучиванія матеріала, предложенный состовителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народныхъ школъ.

287 5—2

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## სუსუნაკი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნაკის** წამლით პირველ ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამლით სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნაკს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნაკის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია**: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უებარი საშუალებაა ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზე და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეზაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4მან და 3 შუშა შესაზაპუნებელი ღირს 9 მანეთი. სხვა ქალაქებში გაიზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ. მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ, თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობივ გოლოვინის პროსპექტისა და მექავოის ქუჩის. Р. Шмитъ, Тифлисъ Тхинвальская ул, № 12, отд. 1 5—1

## —სალი კუჭი—

## ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორისა, იწვევს სისხლის მოწამლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაკვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. კ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)